ხაშურის მოამბე

№3 (425) 29 იანვარი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურში, „ახალ კლინიკაში“, სამშობიარო განყოფილება გაიხსნა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, პარლამენტის წევრის ბიუროს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, სს ,,საქართველოს კლინიკების” მფლობელობაში არსებული ხაშურის შპს ,,ახალ კლინიკაში” ახლადგახსნილი სამშობიარო განყოფილება დაათვალიერეს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ ხაშურის “ახალი კლინიკის” დირექტორი ჯანო ვაშაძე, კლინიკური დირექტორი თეიმურაზ მძინარიშვილი, სამეანო-ნეონატოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი მიხეილ სარაული და მედპერსონალის სხვა წარმომადგენლები.

ჯანო ვაშაძის განცხადებით, ხაშურის “ახალ კლინიკაში” სამეანო-ნეონატოლოგიური განყოფილება საწყის ეტაპზე 3 საწოლზეა გათვალისწინებული. ფუნქციონირებს სამშობიარო ბლოკი და სამშობიარო პალატა, ახალშობილთა ბლოკი და პალატა და მელოგინეთა პალატები. განყოფილება უზრუნველყოფილია 24-საათიანი ძირითადი სერვისებით: მშობიარობა, საკეისრო კვეთა, იმუნიზაცია, სმენადობის შეფასება, გენეტიკური კვლევა, რაც სრულად ფინანსდება საყოველთაო დაზღვევით.

განყოფილება აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, კადრები დაკომპლექტდა როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული სპეციალისტებით.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების, მათ შორის მშობიარობის დაბალი დინამიკის გამო, ხაშურში სამეანო-ნეონატოლოგიური განყოფილება წლების განმავლობაში გაუქმებული იყო. ვინაიდან, კომპანიასა და სახელმწიფოს შორის არსებობდა ვალდებულება სერვისების უწყვეტობის შესახებ. კლინიკამ განახორციელა ინვესტირება, მოიზიდა ახალი კადრები და გაიხსნა სამშობიარო განყოფილება.

„მუნიციპალიტეტში სამეანო-ნეონატოლოგიური განყოფილების არარსებობა მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას და მისი გახსნა საზოგადოების ერთ-ერთი პრიორიტეტული მოთხოვნა იყო. სამეანო განყოფილების ამოქმედება მუნიციპალიტეტსა და ხაშურის შპს “ახალ კლინიკას” შორის წარმატებული თანამშრომლობის შედეგია, ჩვენ რეანიმაციული განყოფილების საქმიანობის მიმართულებითაც გვაქვს წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება და იმედია, ასეც გავაგრძელებთ. ჩვენი მოქალაქეების სახელით განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჯანდაცვის სამინისტროს, სს ,,საქართველოს კლინიკებს”,

ბატონ ჯანო ვაშაძეს, პერსონალური მადლობა ჩვენს თანამოქალაქეს ბატონ გიორგი აბაიაძეს, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა ხაშურში სამეანო-ნეონატოლოგიური განყოფილების გახსნა, - განაცხადა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

(ინტერვიუ კლინიკის დირექტორთან იხილეთ მეორე გვერდზე.)

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების საერთო კრებები და კონსულტაციები 25 იანვრიდან დაიწყო და მუნიციპალიტეტის 77 სოფელში ყოველდღიურ რეჟიმში, 7 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. ხაშურის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად 904 000 ლარი გამოეყო.

2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებით განსაზღვრულია:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ);
სარწყავი სისტემები;
სანიაღვრე არხები;
ნაპირსამაგრი სამუშაოები;
გზები;
მოსაცდელები;
ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;
გარე განათება;
სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
ამბულატორიის შენობები;
სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;
სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;
სკვერები, მათ შორის საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;

წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;
მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა;

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელდება ის პროექტები, რომლებსაც კრებებსა თუ კონსულტაციებზე ადგილობრივები სოფლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, თავად შეარჩევენ.

შეხვედრების დეტალურ განრიგს, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას ვრცლად შესაძლებელია გაეცნოთ ხაშურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე:

- სპორტი -

საბა ჩილაშვილის და გიორგი გელაშვილის ოქროები

2024 წელი წარმატებით დაიწყო. ჯერ 2024 წლის პირველი თვე არ გასულა და ხაშურელმა სპორტსმენებმა უკვე დაიწყეს ოქროების მოგროვება. „ოქრო“ აქ შეიძლება პირობითი დასახელებაა, თუმცა ნებისმიერ შეჯიბრში, როდესაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგები და შენს საპატივსაცემოდ შენი ქვეყნის ეროვნული ჰიმნი ჟღერს, ალბათ ეს შეგრძნება ოქროზე ძვირადაც ფასობს.



ჯერ იყო და საბა ჩილაშვილმა „გაისროლა“ საფრანგეთში. ჩვენი საბა ჯერ კიდევ ჭაბუკია,

მაგრამ საფრანგეთში არც უფროსებს დაუდო ტოლი და ზემძიმე წონაში გრან-პრის ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. ეს ბიჭი უკვე საქართველოს ნაკრების (უფროსების) სრულფასოვანი წევრია და მისგან უდიდეს წარმატებებს ველით ყველა.

საბას შემდეგ გიორგი გელაშვილმა იყოჩაღა და ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატში, ჭაბუკებში, 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონიც გახდა. ეტყობა 90 კილოგრამი სუფთა „ხაშურული“ წონაა. ყოველ შემთხვევაში, ლუკა მაისურაძეს რომ ღირსეული მემკვიდრე ეზრდება, ფაქტია.

ვულოცავთ საბას და გიორგის და გვჯერა მათი სახით დიდი სპორტსმენები ეზრდება ხაშურს.

ხაშურის მოსახლეობა სამეანო-ნეონატოლოგიურ მომსახურების მიღებას განახლებულ განყოფილებაში შეძლებს

სამშობიარო განყოფილება პირველ პაციენტს ელის

ხაშურის მოსახლეობა წლებია სამშობიარო სახლის გახსნას ითხოვდა, რომელიც, სამწუხაროდ, ხაშურში, გარკვეული მიზეზების გამო, აღარ



ფუნქციონირებდა. საბედნიეროდ, ეს „ვაკუუმი“ უკან დარჩა და დღეს ჩვენმა ქალაქმა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამშობიარო განყოფილება მიიღო. უფრო დაწვრილებით, ამ სასიხარულო სიახლის შესახებ კლინიკის დირექტორი ჯანო ვაშაძე გვესაუბრება:

- დიდი ხანი არ არის, რაც კლინიკა სს ,,საქართველოს კლინიკების" მფლობელობაში გადავიდა და სახელწოდებაც შეიცვალა. ს.ს „საქართველოს კლინიკებსა“ და სახელმწიფოს შორის არსებობდა ვალდებულება სერვისების უწყვეტობის შესახებ. ამ პროექტის ფარგლებში სახელმწიფომ მოგვცა დრო და ჩვენ განვახორციელეთ ინვესტიციები ამ განყოფილებების შესაქმნელად, კომპანიის გადაწყვეტილებით და მხარდაჭერით გამოიყო რესურსი როგორც ინფრასტრუქტურული რესურსის შესაბამისობაში მოსაყვანად არსებულ სტანდარტებთან, ასევე მოზიდული იქნა კვალიფიციური კადრები. ექიმ მეანების და ნეონატოლოგოგების ბრიგადები 24 საათიან რეჟიმში მორიგეობენ. პროექტი დავიწყეთ პირველი დონით და ვფიქრობთ განვითარებას. ჩვენი საავადმყოფო ორიენტირებულია განვითარებაზე, უკვე ახალ განყოფილებაში ტრენინგებია ჩანიშნული თანამშრომლებისთვის, შესაბამისად, იგეგმება სერვისის შემდგომი განვითარება.

- **არის თუ არა მშობიარობა და სხვა სერვისები უფასო?**

- დიარჯი-საყოველთაო დაზღვევა სრულად ფარავს როგორც სამედიცინო მომსახურებას, ისე მშობიარისა და ახალშობილის კვებას. სერვისი ითვალისწინებს სასწრაფო გადაუდებელი ჩვენებით საკეისრო კვეთებს, რომელიც სრულად ფინანსდება. გაუქმდა აყვანილი ექიმის ინსტიტუტი. სამეანო-გინეკოლოგიური სერვისი თითქმის გაორმაგდა და სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სრულად, მათ შორის: ნარკოზი, ჩვეულებრივი მშობიარობა, გადაყვანა, საკეისრო (არაგეგმიური) სრულად. ასევე ფინანსდება მშობიარისა და ახალშობილის კვება. მშობიარის მიერ თანაგადახდა არის ნული. მხოლოდ ეს ვრცელდება საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლე საქართველოს მოქალაქეებზე.

რაც შეეხება კიდევ ერთ განახლებულ განყოფილებას, წელს კლინიკამ ლიცენზირება გაიარა ანესთეზია-რეანიმაციაში. მოხდა გადაიარაღება, აღიჭურვა ახლი აპარატურით. რეანიმაცია უზრუნველყოფილია მწვავე დიალიზის სერვისით. ფუნქციონირებს ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, ელექტროდიაგნოსტიკა, რენტგენი, მაღალტექნოლოგიური კვლევები-კომპიუტერული ტომოგრაფია, ანესთეზია, რეანიმაცია და საოპერაციო ბლოკი. გაიზარდა რეანიმაციის საწოლ-ფონდი. ამის საშუალება მოგვეცა მფლობელი კომპანიის ინვესტირების შედეგად. სიახლეა ექიმთა გადამზადების მიმართულებითაც. რადგან ლიცენზიის მინიჭება გულისხმობს, რომ ექიმს ჰქონდეს მუდმივი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საჭირო რაოდენობის ქულები. ჩვენი ანესთეზია - რეანიმატოლოგები, მეან-გინეკოლოგები და ნეონატოლოგები ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

- **ბატონო ჯანო, პროფესიონალ კადრს შესაბამისი ანაზღაურება ჭირდება, რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

- ხელფასები, გაიცემა მოქმედი შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, როგორც ექიმების, ისე საშუალო და დაბალი მედპერსონალის.

სამშობიარო განყოფილების გახსნას ოპტიმისტურად უყურებს კლინიკური დირექტორი **თემურ მძინარიშვილი:**

- გარდა ტექნიკური გადაიარაღებისა, შერჩეულია კვალიფიციური პერსონალი. სამშობიარო ბლოკი აღჭურვილია უმაღლესი დონის სამედიცინო აპარატურით, რომლის საშუალებითაც კონტროლდება დედისა და ნაყოფის, ასევე ახალშობილის ყველა სასიცოცხლო ფუნქცია. იმედი მაქვს რომ გარკვეული დროის შემდეგ, როცა მოსახლეობა უფრო მეტად ინფორმირებული იქნება განყოფილების მუშაობის შესახებ, იგი სრული დატვირთვით და წარმატებით იმუშავებს.

„საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით, უკანასკნელ წლებში საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი უარყოფითია, რომელიც შემცირებული შობადობით არის განპირობებული. სამწუხაროდ ახალდაბადებულთა რაოდენობის კლების ტენდენციას ხაშურის მუნიციპალიტეტში სამშობიაროს არარსებობამაც შეუწყო ხელი.

განახლებული განყოფილება პირველი ახალშობილის მოლოდინშია. ეს იქნება პირველი ახალშობილი 2021 წლის შემდეგ, რომელსაც დაბადების გრაფაში ხაშური ჩაეწერება. ასე, რომ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ხაშურის „ახალ კლინიკაში!“

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამასა და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის

სამუშაო შეხვედრაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები.

შეხვედრის ფარგლებში, გუნდმა წარადგინა USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ძირითადი მიმართულებები, განიხილა ხაშურის მუნიციპალიტეტის საჭიროებები და გამოწვევები. მოხდა იმ პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირება, სადაც პროგრამას შეუძლია მხარდაჭერა მუნიციპალური მმართველობის სისტემების გაუმჯობესებისა და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული საჯარო სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. ასევე, განხილულ იქნა მოქალაქეთა ჩართულობის არსებული და ახალი ინსტრუმენტების გაძლიერების და დანერგვის შესაძლებლობები.

USAID-ის წარმომადგენლების ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ხუთწლიანი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, რათა იმუშაონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად. პროგრამა მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიმართულებით და მხარს უჭერს შესაბამის ცენტრალურ სახელმწიფო უწყებებს, დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში. პროგრამის საშუალებით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო მხარს დაუჭერს, სულ მცირე, 22 მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს დამატებითი მუნიციპალიტეტების ჩართვას სასწავლო, გამოცდილების გაზიარების და ინფორმაციის გაცვლა-გავრცელების აქტივობებში.

რუსეთის დამპყრობლური მადა

ომს უძველესი ისტორია აქვს. არსებობდა ყოველ საუკუნეში, მარადჟამს. ავსებდა ქვეყანას ქვრივებითა და ობლებით. სპობდა საგვარეულოებს. ერთ და იმავე ბძოლაში ღუპავდა ძმებს. ნადგურდებოდა ოჯახები, წლობით ნაშენები ფასეულობები, შენობა-ნაგებობები. თითქოს უხსოვარ დროიდან დადეს ფიცი ადამიანებმა, რომ დროდადრო, ერთი გოჯი მიწისთვის ერთმანეთი გაეძარცვათ, დაეწვათ, მოეკლათ, გაეფატრათ. ეს ყველაფერი რომ უფრო ოსტატურად და ზუსტად განეხორციელებიათ გამოიგონეს წესები, რასაც სამხედრო ხელოვნება უწოდეს: ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში სამხედრო მოქმედებათა მომზადებისა და გაძღოლის თეორია. ხელოვნება ურთიერთჟლეტისა საუკუნიდან საუკუნემდე სულ უფრო მეტად ისხამს ფრთებს.ათასობით მეცნიერი მუშაობდა და მუშაობს ისეთი იარაღის შესაქმნელად, რომელიც რაც შეიძლება მეტ ადამიანს მოსპობს. შეიმუშავეს დოქტრინები ომების გამართლებისათვის. შექმნეს პროპაგანდისტული სისტემა ამა თუ იმ მიწების ხელში ჩაგდების მიზნით.

მე-19 საუკუნემდე, ომების ეკონომიური ბაზა შედარებით ვიწრო იყო. მასში მცირერიცხოვანი პროფესიული არმიები მონაწილეობდნენ. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ომი ითხოვს მეომარ მხარეთა ეკონომიკის უდიდეს დაძაბვასა და ხანგრძლივ ჭიდილში ადამიანთა მრავალმილიონიანი მასების ჩაბმას. პირველ მსოფლიო ომში 70 მილიონი კაცი მონაწილეობდა. მეორეში 110 მილიონი. არნახულად მატულობს ზარალისა და დანაკარგის მოცულობა. პირველ მსოფლიო ომში 10 მილიონი კაცი დაიღუპა, მეორეში - 50 მილიონი.

ომის ხასიათი განისაზღვრება მოცემული ეპოქის ან მისი სხვადასხვა პერიოდის სოციალური წინააღმდეგობებით. ომების კლასიფიკაციის მთავარი კრიტერიუმები მათი სოციალ-პოლიტიკური შინაარსია.

ომებს შორის ყველაზე ამორალური დაპყრობითი ომია. დამპყრობლური ომების შედეგად იქმნებოდა უზარმაზარი იმპერიები: რომის, ფრანკთა, გერმანელი ერის, რომის საღვთო იმპერია, პეტრე პირველის მიერ შექმნილი რუსეთის იმპერია., ნაპოლიეონ პირველის იმპერია, ბრიტანეთის და ყველაზე მძლავრი საბჭოთა იმპერია, რომელიც რუსეთის იმპერიის „ღირსეული“ მემკვიდრე გახდა. მონღოლ-თათართა უღლის გადაგდების შემდეგ, თითქოს მონღოლთა დამპყრობლური ბუნება მემკვიდრეობად მიიღეს და დაიწყეს განუწყვეტელი ომები ტერიტორიების გასაფართოებლად: ყაზანის, ასტრახანის, სახანოს დაპყრობა. 1783 წელს ყირიმის შემოერთება. ბრძოლა ბალტიისპირეთისათვის...

რუსეთს სხვა ქვეყნების დაპყრობის საუკეთესო პირობები ჰქონდა. მე-18 საუკუნის ბოლოს, ამ ერთგვაროვან, მიუდგომელ, ჰომოგენური ქვეყნის მეზობლები იყვნენ სახელმწიფოები, რომლებიც დაქვეითებას განიცდიდნენ ან იშლებოდნენ, ამიტომ ადვილად დასპყრობ ობიექტს წარმოადგენდნენ: ჩრდილოეთით - შვეცია, სამხრეთით - თურქეთი. ბალკანეთში ცხოვრობდნენ სლავები, ბერძნები, რუმინელები. ისინი, ქრისტიანები იყვნენ, რუსეთის ერთმორწმუნენი. ამიტომ საკმარისი იყო რუსეთს გამოეთქვა სურვილი დაჩაგრული ერთმორწმუნე ხალხის დაცვისა, რომ განმათავისუფლებელი მანტიით დაფარული დამპყრობლისათვის ნიადაგი მზად იყო. ზუსტად ისე, როგორც ამიერკავკასია, სადაც ხარბ დამპყრობელს ისეთი ნადავლი იტაცებდა, როგორიც იყო კონსტანტინოპოლი- ცარგრადი, რომელიც მოსკოვთან და პეტერბურგთან ერთად იქნებოდა აღმოსავლეთ საქრისტიანოს დედაქალაქი. ამას ემატებოდა ის, რომ რუსეთის მოსახლეობა სულიერი სტაგნაციის მდგომარეობაში იყო, ყველაფრისთვის გამოსადეგი „იყო გამძლე, მამაცი, მორჩილი, ყოველგვარი მორჩილების ამტანი და ამგვარად წარმოადგენდა ბრწყინვალე მასალას ჯარისა და მაშინდელი ომებისათვის“ (ფრ. ენგელსი).

დადგა გადამწყვეტი ეტაპი ევროპაზე გაბატონებისათვის. შავი ზღვა რუსეთის გახდებოდა, ბალკანეთის დაპყრობა რუსეთის საზღვრებს ადრიატიკის ზღვასთან გადაწევდა. მაგრამ ეს საზღვარი დაუცველი დარჩებოდა თუ დასავლთის საზღვარი მთლიანად არ გადაიწეოდა და ჯერი პოლონეთზე მიდგა. პოლონეთის არისტოკრატიული რესპუბლიკა მეზობლებისათვის იოლი ლუკმა იყო. ამით ისარგებლა რუსეთმა და სხვადასხვა მიზეზებით ისიც შეიერთა.

ეკატერინე მეორის გარდაცვალებისათვის, დამპყრობლურმა პოლიტიკამ რუსეთს მისცა ყველაფერი ის, რაც დააკმაყოფილებდა თუნდაც ყველაზე უფრო ხარბ ნაციონალურ შოვინიზმს. რუსეთი უკვე აკონტროლებდა დიდ ტერიტორიას ბალტიისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. მისი ბატონობის ქვეშ მოექცნენ ფინელები, თათრები, პოლონელები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, შვედები.

რუსეთის იმპერიალისტური მადის დაკმაყოფილება კი, არაფერს შეეძლო. გერმანიას პოლონეთის ბედი ელოდა. იგი ხომ 37 წვრილ სამთავროდ იყო დაშლილი, მაგრამ იღბალმა გადაარჩინა. ნაპოლეონმა რუსები სასტიკად გაანადგურა აუსტერლიცთან და ფრინდლანდთან. 1812 წლის ომში გამარჯვებამ რუსეთი კონტინენტის ბატონ-პატრონი გახადა. თურექეთს ბესარაბია წაართვა. პოლონეთის ცხრა მეათედი მის ხელში აღმოჩნდა.ავსტრია და პრუსია მას ემორჩილებოდნენ. ფრანგი ბურბონები მადლიერები იყვნენ. შვედებმა, რუსეთის წყალობით, ნორვეგია მიიღო. ხმის გამცემი ვინ იყო. როდესაც ვენის კონგრესზე ტალეირანმა პოლონეთიდან გასვლა მოსთხოვა, ალექსანდრე პირველმა მკვახედ უპასუხა: „მე ჩემი ჯარით ვარშავაში ვდგევარ და კარგი ბიჭები ხართ, გამიყვანეთო.“

ლეგიტიმიზმის დაცვის საბაბით, ვენის კონგრესზე დაარსდა „საღვთო კავშირი“, რუსულ-ასტრიულ-პრუსიული კავშირი. რუსეთი „ევროპის ჟანდარმად“ იქცა. ევროპას თავს დაატყდა უბნელესი ძალა. ყირიმის ომამდე რუსეთს შიშით შეჰყურებდა ევროპა. რუსეთის გიგანტური ძალები სიგნალს ელოდებოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ დაძრულიყო.

1848 წლის რევოლუციების ჩაქრობქაში რუსეთი აქტიურად ჩაება. უნგრეთის აჯანყების წინააღმდეგ 150 000-იანი არმია გაგზავნა და ვალოგეშთან რიცხობრივი უპირატესობით დაამარცხა უნგრელების ჯარი. ამ ბრძოლაში დაიღუპა პოეტი შანდორ პეტეფი. უნგრეთი სახრჩობელებით მოფინეს. რუსების სარდალი მურავიოვი ურცხვად ტრაბახობდა „მე, ის მურავიოვი კი არა ვარ, ვისაც ახრჩობენ, არამედ ის ვარ, ვინც ახრჩობსო.“ მხედველობაში ჰყავდა დეკაბრისტი მურავიოვ-პოსტოლი.

ნიკოლოზ პირველმა, რომელიც თურქეთს ავადმყოფ ადამიანს უწოდებდა, გადაწყვიტა დადგა დრო თურქეთის დამორჩილებისაო და დაიწყო ყირიმის ომი. თურქეთის დასახმარებლად ინგლისი და საფრანგეთი მოვიდნენ და ყირიმისაკენ დაიძრნენ. ომმა გამოამჟღავნა, რომ ე.წ. „რუსული კოლოსი“ დაუმარცხებელი რომ ეგონათ (დღესაც ასე ჰგონიათ რუსოფილებს) პირიქით მოხდა. სამხრეთ რუსეთის სტეპები რუსული არმიების სამარედ იქცა, რომლებსაც ნიკოლოზ პირველი დაუნდობლად აგზავნიდა. სახელდახელოდ აღჭურვილმა და პროდუქტებით მათხოვრულად დატვირთულმა რუსეთის არმიამ ორი მესამედი ჯარისკაცი დაკარგა. ტექნიკური შეიარაღებაც სუსტი იყო. რუსების მუშკეტი 300 მეტრზე ისროდა, ინგლისელების 600 - ზე. მოკავშირეებს ორთქლის გემები ჰყავდათ. რუსებს იალქნიანი. ცარიზმი სასტიკად დამარცხდა და „ევროპის ჟანდარმის“ როლი დაკარგა. თუმცა, ხელი არ აუღია თურქეთის დაპყრობაზე და სრუტეებში გაბატონებაზე.

ევროპაში დამარცხების შემდეგ, რუსეთმა ყურადღება სხვა მხარეზე გადაიტანა. დაიმორჩილა კავკასია და შუა აზიისკენ დაიძრა. მით უმეტეს, რომ აქედან ადვილად შეიძლებოდა ინდოეთის ოკეანისაკენ გაჭრა. 1865 წელს რუსებმა დაიპყრეს ტაშკენტი. 1868 წელს - სამარყანდი, 1875 წელს - კოვანდა, 1884 წელს დანებდა მერვი და საბოლოოდ გაბატონდა თურქესტანში.

შუა აზიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთმა ყურადღება ისევ კონსტანტინოპოლისკენ გადაიტანა. 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომმა ეს ქვეყნები მტრებად აქცია. რუსეთს შეეძლო ორივე ქვეყანა მასთან საჭიროებისამებრ დავალდებულად ჩაეთვალა. ეს ხელსაყრელი ვითარება მან კვლავ თურქეთზე თავდასხმისათვის გამოიყენა და 1877 წელს ომი გამოუცხადა. დიდხნიანი ბრძოლების შემდეგ, რუსული ჯარები კონსტანტინოპოლის კარიბჭეს მიადგნენ, როცა 1878 წლის იანვარში ბოსფორში ოთხი ბრიტანული ჯავშნოსანი გამოჩნდა და რუს ჯარისკაცებს, რომლებიც უკვე აია სოფიას გუმბათს ხედავდნენ, უკან დაახევინეს. მიუხედავად ამისა, რუსეთმა დაიბრუნა ბესარაბია და ახალი ტერიტორიები მიიღო კავკასიაში. მათ შორის აჭარა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1904-05 წლებში, იმპერიალისტური რუსეთი მეორე ხარბ დამპყრობელს, იმპერიალისტურ იაპონიას შეეჯახა შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთში და წყნარ ოკეანეში გაბატონებისათვის და სამარცხვინო მარცხი განიცადა ყველა ბრძოლაში: შახესთან, მუკდენთან, ვაფანგოუსთან, ლიაოინის რაიონში. პორტარტურთან და ბოლოს ცუსიმა, სადაც 88 გემიდან მხოლოდ ორმა გაასწრო ვლადივასტოკში. იაპონელებმა 6100 მეზღვაური და მათ შორის ესკადრის მეთაურები ტყვედ ჩაიგდეს. ამის შემდეგ ნუთუ ენა მოუბრუნდებათ რუსეთუმეებს რუსულ პროპაგანდაზე წამოგებულებს და იტყვიან რუსეთი ომებში დაუმარცხებელიაო!

პირველ მსოფლიო ომში რუსეთს ისევ დაპყრობითი გეგმები ჰქონდა. მისი მიზანი ბალკანეთის ქვეყნებში, თურქეთში და აღმოსავლეთ ევროპაში გაბატონება იყო. უგზოობის, ცუდი მომარაგების და ასევე ცუდი შეიარაღების გამო რუსეთის არმია დიდ დანაკარგებს და მარცხს მარცხზე განიცდიდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ომში რუსეთი ძირფესვიანად დამარცხდა. გერმანიამ მოახდინა პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ბალტიისპირეთის ოკუპაცია და რუსეთი ბრესტის ზავით ომიდან გამოვიდა. რუსეთს უარესიც მოელოდა, მაგრამ მოკავშირეებმა გერმანია დაამარცხეს, რითაც ისარგებლა საბჭოთა რუსეთმა, გააუქმა ბრესტის ზავი და უკრაინა და ბელორუსია დაიკავა. ჯერი პოლონეთზე მიდგა. 1920 წლის შემოდგომაზე, წითელი არმია, ეგოროვის სარდლობით, პოლონეთისკენ დაიძრა, მაგრამ მარცხი განიცადა და უკან დაიხია. ომში რუსეთი დამარცხდა და 1921 წლის 18 მარტის ზავით რუსეთმა დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია დათმო.

აღარ შევეხები საბჭოთა იმპერიის ომს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, სადაც მოკავშირეებთან ერთად გაიმარჯვა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მის ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა. ამ ომს წინ უძღოდა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი, რომლის საიდუმლო მუხლების მიხედვით ორივე აგრესორმა ევროპა გაიყვეს. რუსეთმა დაიპყრო ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ჩრდილოეთი ბუკოვინა უნგრეთს წაართვა, ბესარაბია რუმინეთს და პოლონეთში შეიჭრა, გერმანიის ჯარებს გამოქცეული პოლონელი ჯარისკაცები რუსებს ნებდებოდნენ, მათდა სამწუხაროდ. აღმოსავლეთ პოლონეთიდან რუსებმა 300 ათასი პოლონელი ოჯახებით გულაგებში გაუშვეს. უფრო საშინელება იყო „კატინა“, სადაც 25 ათასი პოლონელი დახვრიტეს.

ჯერი პატარა ფინეთზე მიდგა, რომელმაც დაანახვა მსოფლიოს, თუ რა შეუძლია სამშობლოს სიყვარულს და როგორ უნდა იბრძოლო მისთვის. უზარმაზარ მონსტრს ბიბლიური დავითივით დაუხვდნენ და თითქმის გაიმარჯვეს. რუსეთმა ნახევარი მილიონი ჯარისკაცი დაკარგა. ფინეთმა - 29 ათასი. რუსოფილებს შევახსენებ, რომ ასეთ გამარჯვებას „პიროსის განარჯვებას“ ეძახიან, რაც დამარცხების ტოლფასიუა.

და ბოლოს, რუსეთი მსოფლიო ბატონობისთვის ომებმა ავღანეთში შეიყვანა, მაშინ, როდესაც მოსკოვში ოლიმპიადა უნდა ჩატარებულიყო. 1980 წელს ოლიმპიადა ჩატარდა მხოლოდ საბჭოეთის სატელიტების მონაწილეობით. „მგელივით შეუცნობელმა“ (კიპლინგი) ავღანელმა რუსებს კუდით ქვა ასროლინა და „ბოროტების იმპერიას“ „მოკავშირე“ რესპუბლიკები ჩამოაცილა.

როგორც ვხედავთ, რუსეთისათვის დაპყრობითი ომები აუცილებლობას წარმოადგენს. ომი სჭირდებათ ძალაუფლებისათვის, რომ არა მხოლოდ არ დამარცხდეს ქვეყნის გარეთ, არამედ მუდმივად უნდა გაიმარჯვონ. რათა საკუთარი ქვეშევრდომების უსიტყვო მორჩილება დააჯილდოვოს შოვინისტური მათრობელა გამარჯვებებით, ახალი დაპყრობებით.

დამარცხების შემთხვევაში იზრდება ხალხის უკმაყოფილება, უნდა ვციფიქროთ, რომ უკრაინასთან დამარცხების შემთხვევაში რუსეთის უკმაყოფილო მოსახლეობა გამოფხიზლდება.

კლიმენტი სუთიაშვილი,

ისტორიკოსი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43)

ჭალა _ ადგ; სახნავი. დასტურდება 1945 წლის 5 ივლისის ნოზაძეების გაყრილობის განაჩენში (ხრა, ფ. 19, აღწ. 1, საქ. 75, ფურც. 5)

ჭერათხევი _ ადგ., ტყე, ხევი ჩრდილოეთის მხარეს.

ჭერათხევის ფრონე _ იგივე ჭერათხეულა

ჭერათხეულა _ მდინარე, სათავეს იღებს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთებიდან, სურამულას მარცხენა შენაკადი. ქვემო წელიდან შესართავამდე უძახიან ფრონეს.

ჭერათხევის ხევი – ადგ., ხევი. ,,ალის ციხის ზეით ერთვის აღმოსავლიდამ ალის-წყალს ჭერათხევის-ხევი, არამედ უშენობო” / ვახუშტი, გვ. 377/.

ჭყარტაანთწყარო –ადგ; წყარო სამხრეთის მხარეს.

ხანდაკის უბანი_ადგ; უბანი

ხარშილაძის სერი _ ადგ., სერი

ხერხეულიძისეული მიწა _ადგ., სახნავი. ნოზაძეების გაყრის განაჩენით ,,სახნავი მიწებიდგან მიხოს... ხერხეულიძისეული მიწიდგან ერგო 1895 წლის მესამედი ჩრდილოეთის მხარესა”.

სოფელი ბ რ ი ლ ი

არსენას წყარო – ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. ,,არსენა ლომიძეს ქოხი დგმია იქა. იქ მოკლეს”.

არტემას ახო – ადგ., სახნავი სამხრეთ მხარეს.

ახალი გზა – იხ. Lლეკის გზა

ბ ა ტ ო ნ ი ს

ბოგირი – ადგილი აღმოსავლეთ მხარეს.

,,ბრილის ბატონი ნიკო დიასამიძე აქ მოკლეს”, ,,აქ ბატონი მოკლეს”.

ბატონის წყარო –ადგ; წყარო დასავლეთ მხარეს.

ბერისა – ადგ., სასაფლაო

ბერის ტყე – ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.

ბოკოკა მიწები – ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ ქლიავები იყო. ნაყოფს უჩნდებოდა ბოკოკა. ეს რომ დაუნახიათ, დაურქმევიათ ბოკოკა მიწები”.

ბრილის ღელე – ადგ; იგივე ღელე რაც ბურნეულა.

ბრილისწყალი – ადგ; მდინარე. ერთვის მდ. ჭერათხეულას მარჯვენა მხრიდან. ,,ნაბახტევს ზეით ერთვის ალის წყალს ბრილის-წყალი, დის ბრილს ერთ წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს” / ვახუშტი, გვ. 376-377/.

ბურნეულა – მდინარე, მდ. ჭერათხეულას მარჯვენა შენაკადი. იგივე, რაც ბრილის ღელე.

ბუღუთურა – ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს

ბუღუთურის წყარო – წყარო დასავლეთის მხარეს.

განი გზა – გზა ჩრდილოეთის მხარეს.

გასავალი – ადგ., სათესი

გასავლისტყე –ადგ., ტყე

გოგიანთ ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

გოგიჩაანთ უბანი // გოგიჩაშვილების უბანი – ადგ; უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. ,,ქვედა უბანს, გაღმა უბანსაც ეტყვიან”.

დედაღვთისა – ადგილი., სალოცავი ჩრდილოეთის მხარეს.

დიდნაჩეხი - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,წინათ დიდი ტყე ყოფილა გაუჩეხიათ მეფის მთავრობის დროს ნაწილი, ნაწილი დარჩენილა”.

დიდმინდორი- ადგ; სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,გაშლილი ველი იყო, ახლა ვენახია გაშენებული”.

დიდწიფლის ღელე – ადგ., ღელე ჩრდილოეთის მხარეს.

ერთმილა – ადგ; წყარო სოფელში

ვაკე მიწები – ადგ; სახნავი სამხრეთის მხარეს.

ვაყელი წყარო – ადგ., წყარო სამხრეთის მხარეს. ,,ვაყელების ნაჭერ ნაკვეთშია”.

ველეები – ადგ., სახნავი, საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს.

ველი – ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ახალშენი ქლიავია”.

ვერხვები – ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ვერხვები იზრდებოდა თურმე წინათ დიდი”.

ზედა უბანი –ადგ; უბანი. ,,ხევს ზემოთ არის”

ზელამოთხევი – ადგ., სახნავი, მინდორი, გზა სამხრეთის მხარეს. ,,აქ იბუდებდნენ ყაჩაღები. აქ გადის სურამისკენ მიმავალი გზა. ყაჩაღები ხალხს ხვდებოდნენ და ძარცვავდნენ”.

თაგვების მიწა – ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,მშრალი ადგილია და თაგვები ჩნდებიან ძლიერ”.

თამარ დედოფლის წყარო –ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს.

თედორეს წყარო – წყარო ჩრდილოეთის მხარეს.

თოფნაკრავის სერი – ადგ., სერი, ტყე, მუხნარი ჩრდილოეთის მხარეს.

ილუეს ახო – ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

იმერლიშვილების უბანი – ადგ; უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში.

კაჭაჭური – ადგ., სერი

კახურაული – ადგ., მინდორი, ტყე ჩრდილოეთის მხრეს.

კვერისა – ადგ., სალოცავი სამხრეთის მხარეს. ,,აქ წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებია”.

კლდისწყარო – ადგ., გორა

კოშორაული – ადგ., საძოვარი, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო. ვითომ გვარი ყოფილა, ვიღაც ქალის გვარი”.

კრონცხი – ადგ., გორა

ლევანას წყარო –ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს.

ლეკის გზა – ადგ., გზა ჩრდილოეთის მხარეს. ,,ახლა ახალ გზას უძახიან”.

მოხვეული ჭალა – ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.

მუხნარი – ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.

ნადელები – ადგ., სახნავი აღმოსავლეთ მხარეს.

ნაკარაული – ადგ., სათესი, მინდორი, საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს, ,,ადრე სახნავი იყო”.

ნამყენები – ადგ., საძოვარი, მინდორი ჩრდილოეთის მხარეს

ნამყენების ღელე - ადგ; ღელე ჩრდილოეთის მხარეს.

ნარუჯები – ადგ., ჩრდილოეთის მხარეს. ,,ცეცხლი გაჩენილიყო ერთხელ და ნარუჯი დაურქმევიათ. აქ ერთ ადგილას ნასახლარია”.

ნარუჯღელე – ადგ; ღელე ჩრდილოეთის მხარეს.

ნარუჯის ვაკე – ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.

ნასახტრები – ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ნასოფლარი უნდა იყოს”.

ნაღრები – ადგ., სამხრეთით სახნავი. ,,ახლა ხეხილია გაშენებული. ბეგები შვავდებოდა, ფლატე რჩება”.

ნაღჩიჩას წყარო – წყარო სამხრეთის მხარეს. ,,ნაღჩიჩა სახელია“.

ნაჩეხები – ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ტყის ნაჩეხია. ყველანაირი ჯიშის ხეა”.

ორმილა წყარო – წყარო სოფელში. ,,გამოდის ორი მილიდან”.

ოსების ღელე – ღელე სამხრეთის მხარეს. ,,პატარა ნაკადულია”.

პავლიას ახო – ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ახლა ფიჭვებია გაშეებული, პავლია გოგიჩაიშვილი იყო”.

პლატონას ახო – ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ახლა ფიჭვებია გაშენებული. პლატონა სვანიძე იყო”.

რუსღელე//რუსი ღელე//რუს ღელეს წყალი – ღელე აღმოსავლეთის მხარეს. უერთდება მდ. ჭერათხეულას. ,,აქ რუსები ცხოვრობდნენ, სახადი გაჩენილა და დახოცილან. აქ სომხების საყდარია”.

საკაკები – ადგ., სათესი

საკირღელე – ადგ., ნასოფლარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,კირს წვავდნენ წინათ თურმე. ტაბაშიძეები, გელაშვილები, ნოზაძეები ცხოვრობდნენ. პატარა სოფელი იყო. ერთი კომლია ეხლა”.

საქარე – ადგ; სახნაკი. დაფიქსირებულია ივანე და დიმიტრი დიასამიძეების 1776 წლის 10 აპრილის წლის ბარათში: ,,აქ ერთს წილათ ბრილს ბურავაშვილის მამული, ამაზე აქვს ავთანდილის მიწა რაც საქარეზე არის ერგო ივანეს დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის”.

საქოლავი – ადგილი

საყარი – ადგილი სამხრეთით. ,,საქონლის შუა დღის საყრელი ადგილია”.

საწაბლარო – ადგ; გორა

საწურბლე - ადგ; სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,წყალი დგია, ტბასავით არის, წურბელაა შიგ”, ,,ლაშე ადგილებია და წურბელებია”.

სერები – ადგ., სათესი

სილები – ადგ., მინდორი, სახნავი, ვენახი აღმოსავლეთის მხარეს. ,,სილიანი მიწაა”.

სომხების სახტარი – ადგ., ნაეკლესიარი ჩრდილოეთის მხარეს.

სოსიკოს ახო – ადგ., სათესი.

ტუკული ახო – ადგ., მინდორი დასავლეთის მხარესა... ,,ადრე სახნავი იყო”.

ფერდისმიწები – ადგ., ვენახი საძოვარი სამხრეთის მხარეს. ,,ფერდა ადგილია და ბუჩქნარი ტყეა”.

ფიჭვნარი – ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.

ქართველიშვილების უბანი –ადგ; უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში.

ქარხნების მინდვრები – ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,კრამიტებს ჭრიდნენ“.

ქვაბთაკერა – ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,უბანსაც ეტყვიან“.

ქვედა უბანი – უბანი ადგ;

ღვთიშობელი – ადგ., სალოცავი ჩრდილოეთის მხარეს.

შოსე გზა – ადგ; გზა აღმოსავლეთის მხარეს ალიდან ბრილისაკენ მომავალი

ჩამორეცხილი – ადგ;

ცაბაცქოხების წყარო – წყარო ჩრდილოეთის მხარეს.

ცხინვარი – ადგ., მინდორი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო“.

ძერიფრთები – ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,მივარდნილი ადგილი იყო”.

წითელი ღელე – ადგ., ღელე

წმინდა გიორგი – ადგ., სალოცავი.

ხაროები – ადგ., ჩრდილოეთის მხარეს ნაკრაულის მინდორზე.

ხევა – ადგ., ხევი სოფლის ცენტრში. ,,ხევი ზაფხულობით შრება“.

ხუთმილა წყარო – წყარო სოფელში

ჯონჯლების ღელე – ღელე დასავლეთის მხარეს. ,,ჯონჯოლია ბევრი“.

სოფელი დ უ მ ა ცხ ო ვ ი

ბატონებისწყარო – ადგ; წყარო.

ბერისწყარო – ადგ; წყარო

დანგრეულები – ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,აქ მიწა შვავდება“.

დვალანთუბანი – ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში.

დიდმინდვრები – ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.

დიდი წყალი –ადგ; წყარო სოფლის ცენტრში.

დიდი ტყე – ადგ; ტყე აღმოსავლეთის მხარეს.

დუმაცხოვის ღელე – ადგ; ღელე

ეფენიანთუბანი –ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში. ,,ეფენია ერქვა დიდ ბაბოს“.

ვასას წყალი//ვასას წყარო – ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს. ,,ვასამ გააკეთა“. ვაშლიმიწები – ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე ნასახლარები ყოფილა, მერე ვაშლები ყოფილა გაშენებული”.

თელები – ადგ., სათესი.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- „უცხო პროფესიები“ -

ხაშურს უმაღლესი კლასის მეზღვაურიც ჰყავს

ინტერვიუ ახალგაზრდა, წარმატებულ ხაშურელ მეზღვაურთან **ალექსი პაიჭაძესთან** 2023 წლის 7 ნოემბერს ჩავწერე. იმ ხანად, ალექსი მორიგი ნაოსნობიდან ახალი დაბრუნებული იყო და, ოჯახთან ერთად, ხმელეთზე ატარებდა დასვენების თვეებს. პრესის ფურცლებზე ინტერვიუს დაბეჭდვა მხოლოდ დღეს მოხერხდა. მეზღვაური ამ დროისათვის კვლავ შორეულ ნაოსნობაში იმყოფება. მადლობას ვუხდით მას ინტერვიუზე დათანხმებისათვის და საინტერესო საუბრისათვის. ინტერვიუ ალექსისთან მოღრუბლულ, ნისლიან, წვიმიან ამინდში შედგა „ხაშურის მოამბის“ მოცუცქნულ, უამრავი საინტერესო ამბის მომსწრე და მრავლისმნახველ სივრცეში... მეღვაურის კეთილმა ღიმილმა, გულწრფელმა ემოციებმა და ასევე გულწრფელად მოყოლილმა საოცარმა ამბებმა, მისმა შინაგანმა სიმშვიდემ, რასაც ცივ ამინდში თანხლებას ელექტროღუმელიდან გადმოფრქვეული სითბო უწევდა, ინტერვიუ ძალიან საინტერესოდ, შთამბეჭდავად და ხალისიანად წარმართა. ბუნებრივია, პირველი კითხვით ავდრიან და შტორმიან ამინდში ზღვაზე და ოკეანეებზე მოგზაურობის გამოცდილებით დავინტერესდი.

- **ხშირია გემზე წვიმიანი, ღრუბლიანი, ავდრიანი ამინდები. ისეთი, როგორც დღეს გვაქვს. ალბათ უფრო საზარელი და ავისმომასწავებელიც. რა ხდება ამ დროს გეგმზე?**

- პირველი რეისისთვის ჩავედი პანამაში, იქ ავედი გემზე. გავიარეთ პანამის არხი და წყნარ ოკეანეში გავემართეთ ჩინეთისკენ. ჰოდა, ჩინეთთან ჩრდილოეთ მხარეს მუდმივად იყო შტორმი... ჩვენ წყნარად მივდიოდით ოკეანის შუაგულში, ეკვატორთან... რამდენიმე ხანში, წინ დაგვხვდა შტორმი და ჩინეთის ზღვში ჩემი პირველი გამოცდილება იყო შტორმთან შებრძოლების. რა ვიცი, რა გითხრათ, დაგვანგრია... მთვარიანი ღამე იყო, რძესავით ჩანდა ამღვრეული წყალი, ფაქტობრივად გემის კურსი სხვა იყო და ცხვირი სხვა მხავრეს იყურებოდა. გვერდულად მივდიოდით და ძლივს ვინაჩუნებდით სიჩქარეს, რომ უკან არ წავეღეთ ტალღებს... მეთევზეების ორი გემი იძირებოდა და შველას ითხოვდა, ვიღებდით სიგნალს, მაგრამ ჩვენ შორს ვიყავით და ვერ დავეხმარებოდით. მეთევზეები ახლოს

მყოფმა გემებმა გადაარჩინეს... ეს იყო დეკემბრის ბოლო. ნუ, არ ვიცი, იმხელა ტალღები და წყალი იყო, ისეთი დახრები, ფეხზე ძლივს ვიდექით, ანგრევდა ყველაფერს. ავარიულ მდგომარეობაში ყოფნა მოგვიწია მთელი ღამე. „ემერჯენსი“ იყო და დილით უკვე პორტი დაიკეტა, მდინარეში არ შეგვიშვეს. დანგრეული იყო ყველაფერი, მიწის ნაგლეჯები ცურავდა კუნძულებივით, ზღვა იყო ყავისფერი, და რა ვიცი. .. ეგ იყო პირველი გამოცდილება წყალთან ჭიდილის.

- **თქვენ რას ფიქრობდით, რას გრძნობდით იმ დროს, როგორ გაუმკლავდით პირველ გამოცდილებას?**

- რაღაც, უფრო ინტერესი მქონდა, შიში არ მქონია. უბრალოდ მაინტერესებდა... ზოგადად პანიკა არ მახასიათებს, ძალიან ცუდია ეგ ზღვაზე. ჯობს ასეთ დროს საღი გონებით იფიქრო, რა შეგიძლია გააკეთო.

- **და რას აკეთებს ამ დროს მეზღვაური?**

- ჩვენ ვართ სამანქანო განყოფილების ტექნიკური დეპარტამენტი. ჩვენ გვევალება გემზე ყველაფერი გამართულად მუშაობდეს. ამ დროს არაფერმა არ უნდა გიღალატოს. თუ ექსტრემალური სიტუაციაა, მყისიერად უნდა აღმოაჩინო და გამოასწორო ხარვეზი. ეგაა ზუსტად, რომ პანიკა არ არის კარგი. ამიტომ, ზოგადად, ეგეთი ადამიანი არ არის კარგი გემზე, ვინც კრიზისული სიტუაციის დროს იბნევა და ემოციურია.

იმის მიუხედავად, რომ ყველა პროფესია შრომას და სიყვარულს საჭიროებს, მეზღვაურობა, განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. არ აქვს მნიშვნელობა, კაპიტანი ხართ, მექანიკოსი თუ „მოტორისტი“, გემზე ყველა საქმე და გადაწყვეტილება ერთნაირად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. იმისთვის, რომ გემზე მუშაობა შეძლოთ, აუცილებელია, პირველ რიგში, ნებისყოფა და პროფესიონალიზმი, რათა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს თავი სწორად გაართვათ.

ახალგაზრდა, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას, მიუძღვნას თავისი ცხოვრება ზღვას და მეზღვაურის პროფესიას, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად უნდა იყოს მომზადებული ამისათვის. რა თქმა უნდა, რთულია ყველაფრის წინასწარ გათვალისწინება, მაგრამ აუცილებელია იცოდეს თუ რას ნიშნავს „მეზღვაურობა“, რა პროფესიაა და როგორ უნდა შეცვალოს თავად თავისი ცხოვრების „კურსი“.

ალექსი პაიჭაძე, როგორც თავად ამბობს, ბუნებით რომანტიკოსი არ არის და არასოდეს უოცნებია მეზღვაურობაზე. 2015 წელს ერთ-ერთი მედიაჰოლდინგისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „პროფესიით მეზღვაური ვარ, სული და გული კი ხელოვნებას ეკუთვნისო“. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდაასაკში ზღვაოსნობაში ბევრს მიაღწია. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ უფროსი მექანიკოსის წოდება მიანიჭა! თანამდებობა, რომელზეც ახლა იმყოფება, დიდი ძალისხმევის, მონდომების,

დროის, მოთმინების, რაღაც დოზით რისკის და რა თქმა უნდა, მოტივაციის შედეგია. ალექსი პაიჭაძე კომპანია „ინტერ ორიენტში“ მეორე მექანიკოსად მუშაობს. დიპლომირებული უფროსი მექანიკოსია.

მეზღვაურობა კი იმით დაიწყო, რომ ხაშურის მერვე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა ბათუმის საზღვაო აკადემიაში გააგრძელა სამი წლის განმავლობაში.

- მეოთხე წელი უნდა ყოფილიყო პრაქტიკა, მაგრამ, 2008 წლის კრიზისის შედეგად, ბევრმა კომპანიამ უარი თქვა რიგითების აყვანაზე და დიდხანს, 4 წელი მომიწია ხმელეთზე ყოფნა. უამრავი მდცდელობის შემდეგ მოხერხდა, ჩემი გასაუბრების შედეგები შუამავლების გარეშე მიეწოდებინათ კომპანიისათვის და 2012 წლის ნოემბერში პირველი ნაბიჯები გადავდგი კადეტად.

ალექსი პაიჭაძე იხსენებს პირველ ნაბიჭებს მეზღვაურობაში, რომელიც ზღვაში გატარებული ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი აღმოჩნდა მის კარიერაში. მან მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა და თითქმის „წრე დაარტყა მსოფლიოს“. წყნარი ოკეანე, პანამა, ჩინეთი, ინდოეთის ოკეანე, ხმელთაშუაზღვა, სპარსეთის ყურე და ა.შ.

- დამწყებისთვის ძალიან რთული იყო. საზღვრის გადაკვეთისას იყო ფიქრებიც: „მართლა მინდოდა ეს თუ არა“. ვტოვებდი ახალშექმნილ ოჯახს, ორი თვის შვილს. იყო ის ფაქტორიც, რომ ძალიან განსხვავდებოდა რეალობა ნასწავლისაგან, მოძველებული პროგრამით გვასწავლიდნენ, 50-იანი წლების ლიტერატურით. მთელი სამყარო სწრაფად ვითარდება.

„ინტრეპიტ სიხოვკი“ იყო ჩემი პირველი გემი. ვიყავით თხევადი ტვირთების გადამზიდი ტანკერი. მივხდი, რომ დრო ცოტა იყო და თავიდან უნდა მესწავლა ყველაფერი. დავიწყე გემზე თვითგანვითარებაზე ზრუნვა. ამაში ჩემი კადეტობაც მეხმარებოდა. არ ვისვენებდი, სულ ვმუშაობდი და ვსწავლობდი. გავდიოდი სპეციალურ კადეტის პროგრამას. 7 თვის შემდეგ, ხმელეთზე დაბრუნებულმა ჩავაბარე გამოცდა და მომანიჭეს მეოთხე მექანიკოსის წოდება, ანუ, შემეძლო ოფიცრად მუშაობა. იმ დროს კომპანიაში არ იყო ვაკანსია, შემომთავაზეს რიგითის პოზიცია. უარი ვთქვი და კვლავ კადეტად წასვლა და 5 თვის განმავლობაში კიდევ უფრო მეტი ცოდნის დაგროვება ვარჩიე. შემდეგ იყო სხვა კომპანიები, ონლაინ ჩაბარებული გამოცდები, გასაუბრება, მეოთხე მექანიკოსად მსახურობა „ინტერ ორიენტში“... აქ ვარ დღემდე. უკვე მორე მექანიკოსი. მევალება მენეჯმენტი, პასუხისმგებელი ვარ სამანქანო განყოფილებაზე. უშუალოდ მექანიზმებზე, გემის მთავარ ძრავზე, სამუშაოს დაგეგმარებაზე.

ალექსი ამბობს, რომ გემი მაღალი რისკის შემცველი ობიექტია და იქ ზედმეტი ემოციები არაფრის მომტანია. უმჯობესია ემოციები აკონტროლო. გვიზიარებს, რომ ეს ,მეზღვაურისთვის მთავარი ფაქტორია, თორემ შეიძლება „შენ თავსაც დაუშავო და გემისთვისაც ცუდი შედეგები მოიტანო“.

- ალექსი ერთი ჩვეულებრივი, მშვიდი დღე ზღვაში. როგორი ცხოვრება აქვს მეზღვაურს?

- თუ ზღვაში მიდიხარ, 8 საათიდან გაქვს სამუშაო დღე. არის გემები, სადაც მორიგეობებია და 4-4 საათი მორიგეობენ მექანიკოსები რიგითთან ერთად, უსაფრთხოების მიზნით. თანამედროვე გემებზე უფრო მეტად არის იუნაის სისტემა ანუ როდესაც მუშაობ 8 საათიდან 5 საათამდე. მაგრამ სამ დღეში ერთჯერ ერთი მექანიკოსი არის მორიგე, 24 საათის განმავლობაში. ანუ, შენს სამუშაო დღეზე ყველა მუშაობს, შემდეგ იხურება სამანქანო განყოფილება, ანუ „ჩეკ ლისტი“ გაქვს, რომ ყველაფერი შემოწმებულია და უსაფრთხოდ შეუძლია იმოქმედოს გემმა. სამანქანოს ყველა ტოვებს. რა თქმა უნდა, ფიდურაზე ვატყობინებთ, რომ სამანქანოში არავინაა, გადავდივართ „იუნაეს“ რეჟიმზე, მორიგე მექანიკოსი, რიგითთან

(დასასრული VI გვერდზე)

ხაშურს უმაღლესი კლასის მეზღვაურიც ჰყავს

(დასასრული)

ერთად, აკეთებს შემოვლას საღამოს 10 დან 11 საათამდე. თუ საწვავია დასამატებელი დაამატოს, გადატუმბოს. გააკეთოს ის, რაც გემის სიცოცხლისუნარიანობისთვისაა საჭირო. რეჟიმი თუ ნორმალურია, კვლავ გადავდივართ „იუნაის“ სმოლზე, ვატყობინებთ შემოვლის დასრულების შესახებ,რომსამანქანოშიარავინაადაიქჩასვლის

უფლება აღარავის აქვს. გემზე რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, გვიკავშირდებიან ხიდურიდან მორიგე წამყვანები და ჩვენთან შეთანხმებით ვატარებთ საჭირო ღონისძიებებს.

- თავისუფალი დრო გრჩებათ გემზე?

- 5 საათის შემდეგ დრო შეგიძლია გაატარო სპორტდარბაზებში, ტვ რუმებში, ითამაშო. მე ტენისს უფრო ვთამაშობ. ჰობიც კარგია თუ გაქვს.

ჩვენს რესპონდენტს მეუღლე და ერთი ვაჟი ჰყავს. ახალგაზრდა მეზღვაური, ამ ეტაპზე, ფოტოგრაფიითაა გატაცებული. უყვარს ავტომობილები,აგროვებსმათმიკრომოდელებს, მიაქვს ზღვაზე და გემზე ძრავის ფონზე, მათი ფოტოგრაფირებითაა დაკავებული. აქვს ავტომ-ობილების კოლექციის სამი ინსტაგრამ გვერდი, და პირადი გვერდიც სოციალურ ქსელებში, სადაც საკუთარ ფოტოებს და ვიდეოებს განათავსებს. ამ ეტაპზე ფოტოგრაფიით პროფესიონალურად არ დაინტერესებულა, არ გამოუფენია ნამუშევრები დამთვალიერებლისათვის. საუბრისას აღნიშნავს, რომ ფიქრით კი უფიქრია. ძალიან ბევრი საინტერესო ფირზე აღბეჭდილი

მასალა დაუგროვდა გემზე მუშაობისას. რასაც ჩვეულებრივ ვერ ნახავ. მეზღვაურის პროფესიამ ადამიანებისათვის აზრად მიუვალ ადგილებში ამოგზაურა. მისთვის ყველაზე შთამბეჭდავი, პირველად და ერთადერთხელ, ყველაზე ლამაზი სანახაობა, ბარენციის ზღვაში მოგზაურობისას ჩრდილოეთის ნათებაა. იხსენებს მწვანე ცას, ძალიან მშვიდ, უკიდეგანო, სარკესავით ზღვას, ირგვლივ არაფერი არ ირხეოდა და გემი მიცურავდა წყნარად მწვანე ცის ქვეშ. ჩრდილოეთის ნათება ალექსიმ ფირზეც აღბეჭდა და დაგვპირდა ფოტოების გაზიარებას ძველი არქივებიდან. ალექსი ზღვაზე ცურვის მრავალწლიანი გამოცდილებიდან ყველაზე საშიშ დღესაც იხსენებს, როდესაც იფიქრა, რომ იმის იქით არაფერია.

- რამდენიმე წლის წინ, ბალტიკის ზღვაში, შტორმი მახსენდება. სამი გემი მივდიოდით. ჩვენი გემი შუაში იყო. წინ მშრალი ტვირთების მზიდი დიდი გემი მოძრაობდა. გემმა მართვა დაკარგა, ტალღებმა შემოგვაბრუნა და წინ გზა გადაგვიკეტა. გემი 200 მეტრზე მეტი სიგრძის იქნებოდა. ჩვენ დიდი სიჩქარით მივდიოდით. მაშინ რომ იმ 200 მეტრიან გემს შემოვუარეთ, მაგრად ივაჟკაცეს ბიჭებმა ზემოთ, წამყვანებმა. გემი ისე დაწვა რომ თაროებიდან უჯრებიც კი ამოიყარა, ყველაფერი თავდაყირა დადგა. მესამე თანაშემწე იყო მორიგე. მას პრაქტიკანტი ჰყავდა და მან გადაგვარჩინა ფაქტობრივად. ინტერნეტის დიდი მოდული 150 კილოგრამს მაინც იწონის, მოწყდა და პრაქტიკანტმა ხელებით დაფარა, რომ საჭესთან მდგომი მოწყვეტილ მოდულს არ წაექცია და გემს მართვა არ დაეკარგა. პრაქტიკანტს ხელი მოტყდა. უკან დაწოლილ გემზე მოდული უკან წამოვიდა და იმ მოტეხილი ხელებით კიდევ გადაეფარა... მოკლედ, ასე გადავრჩით. გემი 35 000 ტონა ბენზინით იყო დატვირთული და შეჯახება ცუდად დამთავრდებოდა. ფაქტობრივად გადავრჩით.... ექსტრემალური სიტუაციები ხშირად არის და შეიძლება, მეზღვაური აღარც აქცევ ყურადღებას, უბრალოდ შენ საქმეს აკეთებ.

- რატო გავხდი მეზღვაური? მიფიქრია თუ არა რომ სირთულეებთან მომიწევდა შეხვედრა?

- არა, არ მიფიქრია ზღვა და ცურვა, ცურვა დღემდე არ ვიცი წესიერად (იცინის)... უბრალოდ, მე რაც მინდოდა პროფესიის არჩევისას, ფინანსებთან იყო დაკავშირებული... ტექნიკური რაღაც-რაღაცეები ყოველთვის მეხერხებოდა და მაინტერესებდა და ამის გამო ავირჩიე მეზღვაურობა, პერსპექტიული პროფესია იყო საქართველოში. არანაირი რომანტიკა არ მქონია... მეზობელმა მირჩია, გავაანალიზე დე ვიფიქრე, რატომაც არა. არანაირი რომანტიზმით არ წავსულვარ, სუფთა ფინანსური გათვლა იყო... და ვიცოდი, ყველანაირი სირთულისთვის უნდა გამეძლო. ნუ, დღეს ვფიქრობ, რომ შეცდომა არ დამიშვია.

მიყვარს თუა არა პროფესია?

- კი, დროთა განმავლობაში ალბათ ეჩვევი და ხიბლიც აქვს. მაგრამ არ ვარომანტიზებ. ვინც ამ გრძნობით მიდის ზღვაში, ხშირ შემთხვევაში დიდხანს ვერ ძლებს, პირველივე დღიდან იმსხვრევა წარმოდგენები. თუ მიზანი გაქვს, უნდა აკეთო საქმე და გაუძლო ყველა სირთულეს. ყოფილა შემთხვევები, როცა ამოვიდნენ გემზე, იმუშავეს, ვერ შეძლეს, თქვეს ეს ჩემი არ არის და უკან დაბრუნდნენ.

- ჩემი სამომავლო გეგმები უკავშირდება თუ არა მეზღვაურობას?

- ჯერ-ჯერობით კი. წინ წარმატებით მივდივარ. გავხდი უფროსი მექანიკოსი, ავიმაღლე წოდება. თუმცა კიდევ საჭიროა ცოტა მეტი გამოცდილება. 4 თვიანი კონტრაქტებია, პლიუს - მინუს ერთი თვე. 4 თვე სახლში ვარ. ბოლო წყლები იყო ჩრდილოეთ ზღვა, ატლანტიკის ოკეანე, ხმელთაშუა ზღვა და შავი ზღვა. მხოლოდ ავსტრალიაში არ ვარ ნამყოფი.

- საოცნებო მოგზაურობა?

- აღარ მაქვს. ეს დასაწყისში იყო. ქვეყანაში რომ შევიდოდით, გავრბოდი ნაპირზე, რომ გავცნობოდი. ოფიციალური საზღვაო ენა ინგლისურია. გემზე მეზღვაურების მიქსია, ბევრი სხვადასხვა ეროვნებისადამიანებიარიან. უფრო ხშირად ჩვენ კოპანიებში, პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან არიან

მეზღვაურები: უკრაინა, რუსეთი, საქართველო, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, რუმინეთი.

როგორიამეზღვაურებსშორისურთიერთობები?

- არა, არ არის მარტივი. სულ 20-22 ადამიანია ეკიპაჟი, სხვადასხვა ტიპის და ჩაკეტილ სივრცეში. ცოტა დიპლომატიაც საჭიროა, ნერვების მოთოკვაც, მეზღვაურები



დეპრესიულებიც არიან. ურთიერთობების დალაგება ჭირს.

- მე და პირატები, თუ შევხვე-დრივარ?

- არ შევხვედრივარ. გემს დაცვა ჰყავს.

- ზღვასთან შეგუების მომენტი გქონდათ?

- კი, კი. როდესაც ვისვენებ, სახლში ვარ, გადავეჩვევი ხოლმე ზღვას. როდესაც ვბრუნდები, ავდივარ გემზე, უსიამოვნო შეგრძნება მაქვს, მაგრამ სწრაფადვე გადავლახავ ხოლმე.

- დამწყებებისთვის, ვიტყოდი, უფრო პრაქტიკული მიზნით წავიდნენ ზღვაზე გემზე სამუშაოდ და არა რომანტიზმით. უნდა იყვნენ ემოციურად მდგრადი, არ არის საჭირო პანიკა, აკონტროლონ საკუთარი თავი, ოჯახთან განშორების სტრესი. უნდა შეეცადო, რომ არ იფიქრო ამაზე მუშაობისას. პირველ რიგში, შენთვის არის სახიფათო. ყურადღება რომ გაგექცეს, ნებისმიერი დანადგარი, ადგილი გემზე არის საშიში და რისკის შემცველი სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის.

წარმატებებს გისურვებთ ალექსი! წყლის ძალა და ზურგის ქარი გვინდა გისურვოთ!

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.